

2018 წლის 12 დეკემბერს კორნელი კეკელიძის სახელობის საქართველოს ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრს სტუმრად ეწვივნენ საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართულ უნივერსიტეტის ისტორიის საბაკალავრო პროგრამის სტუდენტები. მათ დაათვალიერეს ცენტრში მოქმედი მუდმივი გამოფენა "ქართული ხელნაწერი", სადაც წარმოდგენილია ქართული ხელნაწერების გამორჩეული ნიმუშები (VII საუკუნიდან XIX საუკუნის ჩთვლით). ასევე სტუდენტებს საშუალება ჰქონდათ ეხილათ რამდენიმე ორიგინალი ხელნაწერი, რომელიც საგამოფენო-საგანმანათლებლო პროგრამის "წყაროები მოგვითხრობენ" ფარგლებში მომზადდა და რომლის მიზანია სკოლის მოსწავლეებს, სტუდენტებსა და სხვა დაინტერესებულ პირებს შეეძლოთ თავისი თვალთ იხილონ ახლოდან შესძლონ დაკვირვება, ანალიზი უნიკალური ნიმუშებისა და თავიანი წარმოდგენა შეექმნათ ხელნაწერი მემკვიდრეობის შესახებ. რადგანაც მხოლოდ სახელმძღვანელოდან მიღებული ინფორმაცია არ არის საკმარისი რეალური დამოკიდებულების ჩამოსაყალიბებლად ხელნაწერთან.

გარდა ამისა სტუდენტებმა დაათვალიერეს ცენტრის იშვიათ გამოცემათა კაბინეტი. გაეცნენ ისეთ გამოცემებს როგორცაა: პირველნაბეჭდი ქართულ-იტალიური ლექსიკონი, რომში დაბეჭდილი ქართული ანბანი, ვახტან VI-ის სტამბაში დაბეჭდილი ვეფხისტყაოსანი და სხვა.